JEL Classification: B30, O47, P16. https://doi.org/10.35945/gb.2021.12.007

MODERN ASPECTS OF CONVERGENCE THEORY

JEMAL KHARITONASHVILI
PhD in Economics, Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia
jemal.kharitonashvili@tsu.ge

Abstract. In the 50s and 60s of the twentieth century, when a proper parity was established in the economic rivalry between the capitalist and socialist systems, the economists and sociologists in the bourgeois reformist current formulated the theory of convergence ("convergence" comes from Latin *convergere* - from con- 'together' + *vergere* - 'incline'). Convergence implies to merge, to bring two different socio-economic systems (capitalism and communism) together and to create a common techno-industrial system. Convergence involves similarity and integration of some characteristic features of different social and political systems and their structures, which gradually become similar and by means of interrelationship, cooperation and mutual understanding overcome the obstacles and acquire common character and become especially active in the conditions of scientific and technical development, internationalization and globalization until they create a new type, mixed, i.e. hybrid society, which includes the positive features of both capitalism and socialism. The global problems common to all mankind must be solved according to the above said.

KEYWORDS: CONVERGENCE, SYNTHESIS, PLURALISM, MERITOCRACY.

For citation: Kharitonashvili, J., (2021). Modern Aspects of Convergence Theory. *Globalization and Business.* 12, 57-60. (In Georgian). https://doi.org/10.35945/gb.2021.12.007

JEL Classification: B30, O47, P16. https://doi.org/10.35945/gb.2021.12.007

კონვერგენციის თეორიის თანამედროვე ასპექტები

ჯემალ ხარიტონაშვილი
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, საქართველო
jemal.kharitonashvili@tsu.ge

საკვანძო სიტყვები: კონვერგენცია, სინთეზი, პლურალიზმი, მერიტოკრატია.

ციტირებისთვის: ხარიტონაშვილი, ჯ., (2021). კონვერგენციის თეორიის თანამედროვე ასპექტები. *გლობალიზაცია და ბიზნესი.* 12, 57-60. https://doi.org/10.35945/gb.2021.12.007

შესავალი

ისტორიულ ჭრილში კონვერგენციული საზოგადოების კონტურები შეიძლება მოვიძიოთ ცნობილი ფრანგი მოაზროვნის კლოდ ანრი დე რევრუა სენ-სიმონის პროექტში. აქ, მხედველობაში უნდა მივიღოთ თეზისი: „რა სიტუაციაში წარმოიშვა ესა თუ ის მოვლენა, აზრი, თეორია, რა ეტაპები განვლო თავის განვითარებაში და როგორ წარმოჩინდება ის დღევანდელ სამყაროში“.

ა. სენ-სიმონი ფიქრობდა, რომ მისი დროის საზოგადოებრივ სისტემას მეტისმეტად ბევრი ნაკლი ჰქონდა და საჭირო იყო მისი შეცვლა ინდუსტრიული სისტემით, რომელსაც იდივიდუალიზმსა და კაპიტალიზმთან აპირისპირებდა. სენ-სიმონის მიხედვით, ინდივიდუალიზმი, ეკონომიკური თავისუფლება ერთს განადიდებს, უმდიდრეს კაცად ხდის, ხოლო სხვებს აღატაკებს. სენ-სიმონის თქმით, ინდუსტრიულ საზოგადოებაში ცალკეული პირების თვითნებობა, ეგოისტების ბატონობა არ იქნება და ადამიანები თავიანთი პირადი შესაძლებლობებითა და შრომით შეფასდებიან. მისი მიზანია საზოგადოების ყველა წევრი, თავისი წვლილის შესაბამისად, რაც შეიძლება მეტი სიკეთით უზრუნველყოს. ასეთ საზოგადოებაში ადამიანის პირადი და საზოგადოებრივი ინტერესები მუდამ თანხმობაში იქნება. ა. სენ-სიმონი თვლიდა, რომ საკუთრების ინსტიტუტი საზოგადოებრივი შენობის საფუძველია. ა. სენ-სიმონის საზოგადოება კერძო საკუთრებას ინარჩუნებს საზოგადოებრივი საკუთრების გვერდით (Saint-Simon, 1948). საზოგადოების კლასობრივი წყობაც რჩება, რამდენადაც მის იდეალურ საზოგადოებაში არსებობენ მეწარმეები და მუშები, არსებობს მეწარმის მოგებაც. ა. სენ-სიმონის სამრეწველო სისტემა სახელმწიფო კაპიტალიზმს წააგავს. მის პროექტში კაპიტალისტური წყობილებისათვის დამახასიათებელი ატრიბუტები სოციალისტურ პრინციპებთანაა გადახლართული. ა. სენ-სიმონი, თანამედროვე ტერმინით რომ ვთქვათ, ფაქტობრივად, კონვერგენტულ სისტემას გვთავაზობდა. ასეთი სისტემა დღეს არსებობს. რადგან ა. სენ-სიმონის ინდუსტრიული საზოგადოების პროექტი პრაქტიკულად რეალიზებულია (ჩინეთში, სკანდინავიის ქვეყნებში), ამიტომ მის პროექტს უტოპიურის (განუხორციელებელი) ნაცვლად ჰუმანისტური შეიძლება ვუწოდოთ (Kharitonashvili, 1980).

მასალები და მეთოდები

კონვერგენციის იდეა ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის 50-იან წლებში გაჩნდა და ფართოდ გავრცელდა თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის გავრცელებასთან ერთად. მეოცე საუკუნის შუახანებში, ორი სისტემის კონვერგენციის მთავარი თეორეტიკოსები იყვნენ სოციოლოგები, ეკონომისტები და ისტორიკოსები: ჯ. მიდი, დ. რისმენი, ჯ. ადამსი, რ. არონი, ჟ. ფურასტიე, ა. ლალეფი, ა. ბაკინგემი, ფ. პერუ, პ. სოროკინი, უ. როსტოუ, დ. ბელი, ა. ტურენი, ი. ტინბერგენი, ჯ. ჰელბრეითი, ე. შილა, ჯ. ბერნჰემი, პ. სამუელსონი, ზ. ბჟეზინსკი და სხვ. კონვეერგენცია მუშავდებოდა ცნობილი „რომის კლუბის“ წარმომადგენლების მიერ. ისინი გამოდიან იმ მოსაზრებიდან, რომ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის განვითარება, საზოგადოების ცხოვრების სფეროების ინტერნაციონალიზაცია, რომელიც ობიექტური რეალობაა და რომელმაც ეროვნული საზღვრები არ იცის. ისინი კაპიტალისტური და სოციალისტური სისტემების დაახლოების გადამწყვეტ ფაქტორად ტექნიკურ პროგრესსა და მსხვილი წარმოების ზრდას მიიჩნევდნენ. მათი მტკიცებით, კაპიტალიზმის დროს სახელმწიფოს როლი ძლიერდება, სოციალიზმის დროს კი მცირდება. კაპიტალისტურ და კომუნისტურ ქვეყნებში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმები ცენტრალიზებული გეგმიანი საწყისებიდან საბაზრო ურთიერთობისკენ დაბრუნებას მოასწავებდა.

ა. ბაკინგემი ამოდიოდა იქიდან, რომ განსხვავება ინდუსტრიულ სისტემებს შორის, იქნება კაპიტალისტური თუ სოციალისტური, სუფთად რაოდენობრივს წარმოადგენს. ზოგიერთ ქვეყანაში სახელმწიფოს როლი მეტია, სხვებში ნაკლები. პ. სამუელსონი თვლიდა, რომ კაპიტალიზმი და სოციალიზმი უდაოდ პროგრესული საზოგადოებებია რამდენადაც ორივე მთგანი ისწრაფვის ინდივიდების მოთხოვნილებების დაკმაყოფილები– საკენ და ამისთვის ცდილობს წარმოების რაციონალურ ორგანიზაციას (Skvorcov, 1974).

ჯ. ჰელბრეითი წერდა, რომ დაგეგმვა საჭიროა კაპიტალისტური მეურნეობის პირობებშიც, თუმცა განსხვავებული ხასიათს უფრო რაციონალური შინაარსის. ჯ. ჰელბრეითი ეკონომიკურ განვითარებას განიხილავს როგორც ტექნიკაში ცვლილებას, აიგივებს მეცნიერებასა და ტექნიკაში რევოლუციასთან (Galbraith, 1971). დ. ბელი აღნიშნავს, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში მიმდინარეობს სოციალიზაციის პროცესი. საზოგადოებაში, მმართველობაში ნიჭიერი ადამიანები მოვლენ. მოსალოდნელია საზოგადოებაში თანდათან მოხდეს მასშტაბური ტრანსფორმაცია. წარსულს ჩაბარდება დიქტატურა და ტოტალური რეჟიმები. ადამიანებისთვის მნიშვნელოვანი გახდება მომავალი და მასზე ზრუნვა. წინ წამოიწევს ეკოლოგიური საკითხები, მნიშვნელოვან ცვლილებას განიცდის განათლება. წინა პლანზე წამოიწევს თეორიული ცოდნის, როგორც სიახლის დანერგვისა და პოლიტიკის ფორმულირების საფუძვლის წამყვანი როლი. საზოგადოებას მართავს მერიტოკრატია. მერიტოკრატია გულისხმობს საზოგადოების მართვას ყველაზე ნიჭიერების მიერ (Bell, 1973).

კონვერგენციის თეორიის დამცველები ყურადღებას აქცევდნენ სოციალური დაგეგმვისა და კაპიტალისტური რეგულირების შევსებასა და ურთიერთშერწყმას. კონვერგენციის თეორეტიკოსები საჭიროდ მიიჩნევდნენ ცენტრალიზებული დაგეგმვიდან ინდიკატორულ დაგეგმვაზე გადასვლას. დაგეგმვის ასეთი ტიპი დღესდღეობით მოქმედებს საფრანგეთში, ჩინეთში, სამხრეთ კორეაში და სხვაგან. კონვერგენციის როლი იზრდება თანამედროვე პერიოდში, როდესაც ლაპარაკობენ კაპიტალიზმის გადაფასების შესახებ.

მეოცე საუკუნის 70-იან წლეებში კონვერგენციის თეორიამ შემდგომი განვითარება ჰპოვა ზ. ბჟეზინსკის, რ. ჰასტინგინის, კ. მენერტისა და სხვ. შრომებში. წარმოიშვა იდეა ე. წ. ნეგატიური კონვერგენციის შესახებ. მათი მტკიცებით, დაპირისპირებული სოციალ-პოლიტიკური სისტემები ერთმანეთისაგან უპირატესად უარყოფითს და არა დადებითს იღებენ და თანამედროვე ცივილიზაცია, როგორც ერთი მთლიანობა, კრზისისკენ მიჰყავთ (რ. ჰეილბრონერი, ჰ. მარკუზე, ი. ჰაბერმანი და სხვ.).

ყოფილ სსრკ-ში კონვერგენციას პროპაგანდას უწევდა და მასზე მუშაობდა აკადემიკოსი ა. სახაროვი, (Kodua et al., 2004).

დღეისათვის, სოციალისტური სისტემის მარცხი დღის წესრიგიდან არ ხსნის კონვერგენციის საკითხს, თუმცა კი სერიოზულად ცვლის მის შინაარსს და წინა პლანზე ახალ ტენდენციებსა და ასპექტებს აყენებს.

დასკვნა

დროება იცვლება. თვით კაპიტალიზმის ბაირახტარ-ჯორჯ სოროსსაც კი აღარ მოსწონს კაპიტალიზმი. ჯ. სოროსი მიუთითებს: „ახლა უკვე ვშიშობ, რომ Laisser Faire-ის ტიპის კაპიტალიზმისა და საბაზრო ფასეულობების ცხოვრების ყველა სფეროში გავრცელება დიდ საფრთხეს უქმნის ჩვენს ღია, დემოკრატიულ საზოგადოებას. ღია საზოგადოების მთავარი მტერი, ჩემი აზრით, კომუნიზმი კი აღარ არის, არამედ კაპიტალიზმია (Soros, 1997). კაპიტალიზმი ასევე აღარ მოსწონს მსხვილ მილიარდერ უორენ ბაფეტსაც. უინსტონ ჩერჩილს არ მოსწონდა დემოკრატია. აშშ-ის სახელმწიფო მდივანი (1973-1977 წ.წ.), ნობელიანტი ჰენრი კისინჯერი წერდა: „მე იმედგაცრუებული ვარ. კაპიტლიზმის იდეამ ვერ გაამართლა.

ასეთ სიტუაციაში აქტუალი ხდება მსჯელობა საზოგადოებრივი ურთიერთობების ალტერნატიულ მოდელზე. ასეთად, შეიძლება წარმოვადგინთ კონვერგენციული საზოგადოება. თანამედროვეობის პრიზმაში კონვერგენციულ საზოგადოებად უნდა მოვისაზროთ მრავალწყობიანი, მრავალსაკუთრებიანი, მრავალინტერესიანი, პლურალისტული საზოგადოება.

ახალი საზოგადოების ძიებაში ჩემი აზრით, დღესდღეობით საუკეთესო მაგალითია ჩინეთის საზოგადოება. ზოგიერთებს შეიძლება არ მოსწონდეთ, მაგრამ მთლიანი სამამულო პროდუქტის (Papava & Silagadze, 2019) მოცულობით ჩინეთი დღეს მსოფლიოში მეორე ადგილზეა აშშ-ის შემდეგ. ჩინეთში ინტერესებისა და საკუთრების პლურალიზმია (მრავალფეროვნება). კერძო და სახელმწიფოებრივი საკუთრების გარდა მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კოოპერაციულ სექტორს. არის ასევე საკუთრების შერეული ფორმები. ეკონომიკაში საკუთრების პლურალიზმი უზრუნველყოფს სრულყოფილ კონკურენციას. ამან განაპირობა ის, რომ 2007-2009 წწ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი ჩინეთს არ შეხებია. კრიზისის პირობებში ჩინეთი განვითარებული კაიტალიზმის ქვეყნებსაც კი, თვით აშშ-ის ჩათვლით, ფინანსურად ეხმარება.

ჩინეთში 1 მილიარდ 430 მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობს (100 მილიონამდე ქვეყნის გარეთაა). ჩინეთში უმუშევრობის პრობლემა არ არის. ჩინეთში 800 მილიო-ნამდე ადამიანია დასაქმებული. სამუშაო ადგილების მნიშვნელოვანი რაოდენობა შექმნილია სახელმწიფო და კოოპერაციულ სექტორებში. გაოცებას იწვევს ჩინეთში განხორციელებული პროექტები.

უკანასკნელი სამი ათწლეულის განმავლობაში ჩინეთის ეკონომიკა საოცარი ზდის ტემპით გამოირჩეოდა. წელიწადში საშუალოდ 10 პროცენტით გაიზარდა მთლიანი სამამულო პროდუქტი და 9 პროცენტით მთლიანი სამამულო პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე. ბოლო 30 წლის განმავლობაში ჩინეთის მთლიანი სამამულო პროდუქტის წარმოება 20,6-ჯერ გაიზარდა. დღეს ჩინეთი მსოფლიო ეკონომიკაში წამყვან პოზიციაზეა Brookings-ის შეფასებით ჩინეთის ეკონომიკა მსოფლიოში პირველობას 2028 წლისათვის მოიპოვებს. ჩინეთის ტექნოლოგიური სოციალ-ეკონომიკურ პროგრე-

სი შთამბეჭდავია. ჩინეთმა ძალიან მოკლე დროში მოახერხა ძლიერი დივერსიფიცირებული და კონკურენტული ეკონომიკის აშენება. ამას უწოდებენ ჩინურ ეკონომიკურ სასწაულს.

ჩინეთის მთავარი ეკონომიკური პროგრესი იყო უარი „შოკურ თერაპიაზე“ და საბაზრო მექანიზმის ეტაპობრივი ფორმირება.

იაპონელი ფ. ფუკუიამა მიიჩნევს, რომ კეთილდღეობისა და თავისუფლების უზრუნველსაყოფად საუკეთესო არჩევანია გლობალიზაციაზე ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიული პოლიტიკური სისტემების სინთეზი.

2007-9 დიდი რეცესია დემოკრატიული კაპიტალიზმის დასავლური მოდელის ლეგიტიმურობის წყალგამყოფი ხაზია. ფინანსურმა კრიზისმა და მის შემდგომმა მოვლენებმა – უმუშევრობის ზრდამ, ფისკალური პოლიტიკის გამკაცრებამ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა დასავლური ეკონომიკური მოდელის უნარი, იყოს სასარგებლო.

ფინანსური კრიზისის შემდეგ პერიოდში დაიწყო „ჩინური მოდელის“ ალტერნატივად განხილვა (Gilman, 2020) ორი ახალი ფორმაციის ალტერნატიული მოდელის გაჩენას გამოყოფს, ეს ამერიკული კაპიტალიზმის აბსტრაქტული ვერსია – „ლიბერალურ-მერიტოკრატიული“ და „პოლიტიკური კაპიტალიზმია“, რომლის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი ჩინეთია. ლიბერალურ-მერიტოკრატიული კაპიტალიზმის მთავარი ხიბლი კანონის უზენაესობა, პოლიტიკური პლურალიზმი, კულტურული ტოლერანტობა და საზოგადოებრივი ცხოვრების „სამართლიანი წესებია“ – საზოგადოების ყველა წევრს წარმატების მიღწევის თანაბარი შესაძლებლობა აქვს. მიზნის მიღწევა კი ნიჭსა და შრომაზეა დამოკიდებული. ბ. მილანოვიჩი აღნიშნავს, რომ ლიბერალურ-დემოკრატიული კაპიტალიზმის მთავარი საფრთხე არა პოლიტიკური კაპიტალიზმის მეტოქეობა, არამედ თავად მოდელის დაპირებების შეუსრულებლობით გამოწვეული იმედგაცრუებაა.

კაპიტალიზმის ეს ორი ფორმა – ლიბერალურ-მერიტოკრატიული და პოლიტიკური ერთმანეთთან ბევრად ახლოს დგას, ვიდრე კომუნიზმი და კაპიტალიზმი იდგა. თუმცა, ეს არ ხდის მათ დაპირისპირებას ნაკლებად უსაფრთხოს. დასავლურ საზოგადოებებში გაზრდილმა უთანასწორობამ და ელიტების მიერ საკუთარი გამორჩენისთვის თამაშის წესების გახშირებულმა მანიპულაციებმა მერიტოკრატიას ლეგიტიმაცია დაუკნინა, რამაც მემარჯვენეებში პოპულისტური ანტილიბერალიზმის, მემარცხენე ფრთაზე კი ნეოსოციალიზმის გაძლიერება გამოიწვია.

პოლიტიკური კაპიტალიზმი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე დაფუძნებული პოლიტიკური მოდელია, რომელშიც უთავრეს ეკონომიკურ საკითხებზე გადაწყვეტილების უფლებას არა სამოქალაქო საზოგადოება, არამედ პოლიტიკური ხელისუფლება ინარჩუნებს. ამ მხრივ ჩინური მოდელი „პრაგმატულ“ მოდელად მიიჩნევა.

ანალიტიკოსების და ექსპერტების ვარაუდით ჩინეთი ყველაზე ოპერატიულად შეხვდება პოსტკორონალურ ვირუსულ ეპოქას და თავის ეკონომიკურ პოზიციებს კიდევ უფრო გაიმყარებს. საქინფორმის მთავარი რედაქტორი ანდრო ხიდირბეგაშვილი „საქინფორმზე“ NEWS FRONT-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ეპიდემიასთან გამკლავების ჩინეთის შესაძლებლობას მსოფლიოში უნიკალურად მიიჩნევს და აცხადებს, რომ ეკონომიკის აღდგენას ის ყველაზე ადრე შეძლებს.

საჭიროა ამ მოდელის გამოცდილების განზოგადება და განვრცობა. პლურალიზმი საუკეთესო გზაა ჰუმანური, კონვერგენციული საზოგადოებისაკენ. კაცობრიობის არსებობის ფორმულაა. ამ მოდელში სახეზეა კერძო ინიციატივის სტიმულირება და სახელმწიფოებრივი-საზოგადოებრივი გონიც. ეს უკვე მაღალეფექტიანი საზოგადოებაა, მაღალი დონეა. საზოგადოებრივი ინტელექტია და ეს მისაბაძია.

გამოყენებული ლიტერატურა/REFERENCES:

Bell, D. (1973). The coming of post-industrial society. A venture in social forecasting. New York

Kodua, E., et al. (Eds). (2004). *Dictionary of Social and Political Terms*. Lasha Beraia publication. Logo Press, Tbilisi, 351. (In Georgian).

Galbraith J. K. (1971). Exciting prospects. *Za-Rubezho*, 23, 4-10 / 6. (In Russian).

Gilman, N. (2020). China, Capitalism and the New Cold War. EPRC. (In Georgian). https://eprc.ge/index.php?m=11&news_id=231

Hunt, E. K. & Lautzenheiser, M. (2011). History of Economic Thought. A Critical Perspective. Armonk, New York; London England.

Kharitonashvili, J. (1980). Theory of Convergence, GSE, 5. (In Georgian).

Kharitonashvili, J. (2019). History of Economic Thought. Tbilisi. (In Georgian).

Papava, V., & Silagadze, A. (2019). How the Term the “Gross Domestic Product” should be Translated into Georgian. *Globalization and Business*, 7, 203-204. (In Georgian).

Saint-Simon, H. (1948). Selected works. 1-2, Moscow. (In Russian).

Skvortsov, V. N. (1974). Doctrine of Convergences and its Propaganda, Moscow. (In Russian).

Soros, J. (1997). The Threat of Capitalism. *Literaturuli saqartvelo*, 5.04-2.05 (In Georgian).

World history of economic thought (Editorial group) (1987) Moscow. (In Russian).